ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024

შპს „დერტა“

შპს „დეტრა“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 5

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 8

1. ძირითადი საქმიანობა 8
2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი 8
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა 8
   - 3.1 უცხო ვალუტის ოპერაციები 8
   - 3.2 ვალუტის გაცვლითი კურსი 9
   - 3.3 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 9
   - 3.4 ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება 9
   - 3.5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 9
   - 3.6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები 9
   - 3.7 მოგების გადასახადი 10
   - 3.8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 10
   - 3.9 საწესდებო კაპიტალი 10
   - 3.10 დივიდენდები 11
   - 3.11 შემოსავალი 11
   - 3.12 ხარჯები 11
   - 3.13 დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები: 11
   - 3.14 წინა პერიოდის შეცდომების გასწორება 12
4. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 12
5. მიწოდების და მომსახურების ხარჯები 12
6. საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) 13
7. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები 13
8. რისკების მართვა 13
   - 8.1 ლიკვიდურობის რისკი 14
   - 8.2 სავალუტო რისკი 14
9. საწარმოს უწყვეტობის განხილვა 14
10. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება 14
11. დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები: 14
12. სასამართლო დავები 15
13. ბალანსის შემდგომი მოვლენები 15

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოგება - ზარალის ანგარიშგება	2024 წ.	2023 წ.
ამონაგები	3,747,144	3,827,868
თვითღირებულება	(2,008,753)	(1,616,664)
საერთო მოგება	**1,738,391**	**2,211,204**
სხვა შემოსავლები		26,611
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(2,120,874)	(2,139,586)
მიწოდების დანახარჯები	(41,153)	(11,205)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	49,347	11,085
სხვა ხარჯები	-	-
საოპერაციო მოგება	**(374,288)**	**98,109**
ფინანსური შემოსავალი	-	-
ფინანსური ხარჯი	(5,414)	(11,867)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	-	-
მოგება დაბეგვრამდე	**(379,702)**	**86242**
მოგების გადასახადი	-	-
მოგება წლის ბოლოს	**(379,701.99)**	**86,242.00**

დირექტორი

26 სექტემბერი, 2025
თბილისი, საქართველო

ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის უწყისი	*12/31/2024*	*12/31/2023*
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	117,864	143,229
საინვესტიციო ქონება	0	0
განსაკუთრებული აქტივი	0	0
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	0	0
	117,864	**143,229**
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	36,768	40,191
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	581,510	684,009
მარაგები	1,217,104	802,705
მისაღები დივიდენდები	0	0
მისაღები პროცენტები	2,000	2,000
	1,837,382	**1,528,905**
მთლიანი აქტივები	**1,955,246**	**1,672,134**
მთლიანი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	1,912	21,912
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-562,030	-182,328
გადაფასების რეზერვი	0	0
	-560,117	**-160,416**
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	100,000	0
ანარიცხები	0	0
გადავადებული შემოსავალი	0	0
	100,000	**0**

მიმდინარე ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	20,932	81,917
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	**2,260,663**	1,572,041
მოგების გადასახადის ვალდებულება	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	133,768	178,592
გადასახდელი პროცენტი	0	0
გადასახდელი დივიდენდი	0	0
	2,415,364	**1,832,550**
მთლიანი ვალდებულებები	**2,515,364**	**1,832,550**
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	**1,955,246**	**1,672,134**

დირექტორი

26 სექტემბერი, 2025
თბილისი, საქართველო

ბუღალტერი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2024წ.	2023წ.
წმინდა მოგება	**(379,702)**	**86,242**
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	(12,225)	35,044
- გადასახადები	-	-
- ცვეთა	31,708	34,262
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი		
- მარაგების გაუფასურება		
- ძირითადი საშუალებების გაუფასურება		
- ცვლილება ანარიცხებში		
- (შემოსულობა)/ზარალი განსაკუთრებული აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან		
- (შემოსულობა)/ზარალი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან		
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	(49,347)	(11,085)
- წმინდა ფინანსური ხარჯი	5,414	11,867
- დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი		
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	**331,899**	**(4,290)**
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	102,499	(90,959)
- მარაგები	(414,398)	(179,366)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	688,622	228,755
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(44,824)	37,279
- გადავადებული შემოსავალი	-	-
- ანარიცხები	-	-
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	(60,029)	116,996
- მიღებული პროცენტი	-	-
- გადახდილი პროცენტები	(5,414)	(11,867)
- გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(65,442)	105,129
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(6,344)	(1,478)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	-	-
- განსაკუთრებული აქტივების შეძენა	-	-
- საინვესტიციო ქონების შეძენა	-	-
- მიღებული დივიდენდები	-	-

წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(6,344)**	**(1,478)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	(20,000)	(9,006)
- სასესხო ვალდებულების ზრდა	100,000	20,553
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(60,984)	(98,098)
- გადახდილი დივიდენდები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**19,016**	**(86,551)**
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	**(52,770)**	**17,100**
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	40,191	12,007
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	49,347	11,085
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	**36,767**	**40,191**

დირექტორი

26 სექტემბერი, 2025
თბილისი, საქართველო

ბუღალტერი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2024 წლის 1 იანვარი	21,912	0	-182,328	(160,416)
მოგება წლის ბოლოს		-	(379,702)	(379,702)
გაცემული დივიდენდი	-			-
კაპიტალის შემცირება	(20,000)			(20,000)
2024 წლის 31 დეკემბერი	1,912	-	(562,030)	(560,117)

დირექტორი

26 სექტემბერი, 2025
თბილისი, საქართველო

ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს დეტრა (ს/კ 438731918) დაფუძნდა 2018 წელს და წარმოადგენს გათბობა-გაგრილების, ვენტილაციის და კონდიცირების, ცეცხლმაქრი სისტემების საინჟინრო პროექტირების, მონტაჟის და ინსტალაციის მომსახურების გამწევ კომპანიას მსხვილ სამშენებლო სფეროში და კერძო სექტორში.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, **როგორც მოქმედი საწარმო,** რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება **წარმოდგენილია ქართულ ლარში,** თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.1 უცხო ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სების ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

3.2 ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753

3.3 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

3.4 ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

3.5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და მის დარეზერვებას.

3.6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო–მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადების ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო–მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო–მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაწილი არ წარმოადგენს სწრაფბრუნვად მარაგებს.

3.7 მოგების გადასახადი

საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანია გარდა ფინანსური ინსტიტუტისა (როგორიც არის ბანკი, სადაზღვევო კომპანია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ლომბარდი) ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი სანამ არ მოხდება ან დივიდენდის გზით მოგების განაწილება ან განაწილებად მიჩნევა.

დივიდენდის განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება და იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივები ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ნორმას.

აგრეთვე შეღავათიანი დაბეგვრის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილ ავანსები, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები იბეგრება გადახდის წყაროსთან.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისათვის.

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორიც განსაზღვრულია ბასს 12 „მოგებიდან გადასახადები“ 2017 წლის 1 იანვრიდან არ წარმოიქმნება.

3.8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას. ასევე მიღებული საავანსო თანხები, რომლის სანაცვლოდ მომსახურების გაწევა ან საქონლის მიწოდება ჯერ არ მომხდარა.

3.9 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებაზე

დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელის მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელის მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

3.10 დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

3.11 შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით, ფასდათმობით და პირდაპირი ხელფასებით.

3.12 ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

3.13 დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები:

მსს ფასს სტანდარტის 33-ე განყოფილება „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე, ან თუ მხარეები ერთი და იმავე ჯგუფის შვილობილი კომპანიებია. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება ხორციელდება გაშლილი ხელის პრინციპით.

3.14 წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

საწარმო შესაძლებლობის ფარგლებში, რეტროსპექტულად შეასწორებს წინა საანგარიშგებო პერიოდის არსებითი შეცდომებს მისი გამოვლენის შემდეგ გამოსაცემად დამტკიცებულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	
შრომის ანაზღაურება	744408.2
სოციალური დანარიცხები	15359.76
საიჯარო ქირა	70447.38
კომუნიკაციის ხარჯები	2881.52
კომუნალური ხარჯები	7378.34
დაზღვევა	205.2
რემონტი	3821.2
კომპიუტერის ხარჯები	13092.17
საკონსულტაციო ხარჯები	15504.28
საბანკო მომსახურება	7762.74
მივლინების ხარჯი	8688.93
	889549.72

5. მიწოდების და მომსახურების ხარჯები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის მიწოდების და მომსახურების ხარჯები მოიცავდა:

მიწოდების დანახარჯები	
რეკლამის ხარჯები	1947.33
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	39064.14
მიწოდების დანახარჯები	**41011.47**

6. საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)

2024 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) მოიცავდა:

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	2024	2023
	ლარი	ლარი
შემოსავალი კურსთაშორისი სხვაობიდან	79048.81	33020.75
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	(29701.58)	(19252.21)
სულ	**49347.23**	**13768.02**

7. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოიცავდა:

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	2024	2023
	ლარი	ლარი
ფული სალაროში	331.20	331.20
ფული ბანკში	36436.65	39859.32
სულ	**36767.85**	**40190.52**

8. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

8.1 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიის დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს და ატარებს ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს რომელიც მას სჭირდება იმ რწმუნებისთვის, რომ მას გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

8.2 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშვება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. 2023-2024 წლებში დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ იქონია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, რადგან ძირითადად დადებული ხელშეკრულებები არის უცხოურ ვალუტაში და შესაბამისად ხანგრძლივ პერიოდში გაჩერებული დებიტორული დავალიანება იწვევს დიდ საკურსო სხვაობებს და ხშირ შემთხვევაში ზარალს.

9. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ საწარმოს უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

10. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

წინა პერიოდის გასწორება არ მომხდარა.

11. დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები:

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან არანაირი ოპერაციები არ ჰქონია.

12. სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში საწარმოს მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, კომპანიას მიმდინარე პერიოდში სასამართლო დავა არა აქვს.

13. ბალანსის შემდგომი მოვლენები

დღევანდელი დღით სამშენებლო სექტორში კონკურენცია საკმაოდ მაღალია. მიუხედავათ ამისა, შპს „დეტრა“ ემსახურება არაერთ წამყვან სამშენებლო კომპანიას საქართველოში.

დირექტორი	ბუღალტერი
ჯემალ ფოფხაძე	ანა ქუბიაშვილი

26 სექტემბერი, 2025
თბილისი, საქართველო